ეკონომიკის საფუძვლები

ლექცია 4

მოთხოვნა და მიწოდება: კოოპერაციის პროცესი

შესავალი

- ვაჭრობა იძლევა წარმოების შესაძლებლობების გაზრდის საშუალებას
- ვაჭრობა ეფუძნება სპეციალიზაციას (შრომის დანაწილებას)
- როგორ ვითარდება სპეციალიზაცია?
- როგორ ახერხებს მილიონობით ადამიანი, რომელიც არც კი იცნობს ერთმანეთს და შესაძლოა სრულიად სხვა და სხვა ენაზე საუბრობს, ურთიერთშეთანხმებულ ქმედებებს?
- ჯერ კიდევ 18 საუკუნეში ადამ სმიტი აღნიშნავდა:

„შრომის დანაწილების შედეგად წარმოქმნილი პროდუქციის მრავალსახეობა ქმნის სწორადმართულ საზოგადოებას, რომელშიც საზოგადო სიმდიდრე ყველაზე დაბალი რანგის ადამიანამდე ვრცელდება“.

საბაზრო მექანიზმი

- დასმულ შეკითხვაზე პასუხი – საბაზრო სისტემებისმეშვეობით არის შესაძლებელი კოორდინირებული ქმედებები

- რა არის საბაზრო სისტემა?

- ხშირად საბაზრო სისტემაში მოიაზრებენ ავტომატურ, თვითრეგულირებად სისტემას, რომელშიც ადამიანის ჩარევის გარეშე ხდება ყველაფერი – რაც მცდარი შეხედულებაა

- საბაზრო სისტემა არის მომხმარებლების და მიმწოდებლების მიერ შექმნილი სისტემა – უამრავი მოლაპარაკებების, შეთავაზებების, ყიდვა–გაყიდვის შესახებ წინადადებების ერთობლიობა

- “უხილავი ხელის” პრინციპი რას ეხება?!

- შევეცდებით საბაზრო სისტემის მექანიზმის ახსნას “მოთხოვნა” და “მიწოდების” ცნებების დახმარებით

დაბრკოლებები

- ვიდრე საბაზრო სისტემის მექანიზმის ახსნას დავიწყებთ, შევეცადოთ ავხსნათ ის მიზეზები რის გამოც თანამშრომლობა ზოგჯერ ბრკოლდება

- ტრანსაქციული ხარჯები – მიმწოდებელს და მომხმარებელს შორის მოსალაპარაკებელი "კონტრაქტის" ფასი
  - გატეხილი შუშა და საველოსიპედო გზა
- მომხმარებლის მხრიდან იმის გადახდა რასაც მიმწოდებელი ითხოვს ზოგჯერ საკმარისი არ არის
- მაღალი ტრანსაქციული ხარჯები აფერხებენ ვაჭრობას და ბაზრის მექანიზმის ეფექტიან მუშაობას

- საკუთრების უფლების და ინსტიტუტების არ არსებობა

ფულადი ფასების მარეგულირებელი როლი

- რატომ ვიყენებთ ფულს გაცვლის დროს და რატომ არ სარგებლობენ ადამიანები ბარტერული გაცვლის სისტემით?

- ფული ამცირებს ტრანსაქციულ ხარჯს
  - მაგალითად ბარტერის შემთხვევაში ვიოლინოს გამყიდველმა უნდა იპოვოს ხილ–ბოსტნეულის, ფეხსაცმლის მწარმოებელი და მრავალი სხვა, რომლებსაც მოუნდებათ თავისი პროდუქტის ვიოლინოში გადაცვლა.
  - ბარტერი ართულებს სპეციალიზაციის პროცესს

- დაყოფადობის პრობლემა
  - საზოგადოებაში, რომელშიც ფული არ ფუნქციონირებს, თუ სპეციალიზირებული ვართ ვიოლინოს წარმოებაში, ხშირად მოგვიწევს ერთ ვიოლინოში გავცვალოთ იმაზე მეტი ან ნაკლები პური, მაგალითად, ვიდრე გვჭირდება. არავინ არ გადაგვიცვლის 0.1 ვიოლინოს ერთ პურში?

ფულადი ფასების მარეგულირებელი როლი

- საბაზრო სისტემაში ფულადი ფასები არის მნიშვნელოვანი ინფორმაციის (სიგნალების) მატარებელი

- მაგალითად, პროდუქტზე ფასის ზრდა სინგალს აძლევს მომხმარებელს, რომ მან უნდა შეცვალოს ქცევა
  - მომხმარებლები არა მხოლოდ ეკონომიურად იწყებენ ასეთი პროდუქტის გამოყენებას და ამცირებენ შესყიდულ რაოდენობას, არამედ იწყებენ საბსტიტუტების მოძიებასაც

- იმავე პროდუქტზე ფასის ზრდა გარკვეულ სიგნალს აძლევს მიმწოდებელსაც
  - ფასის ზრდა სტიმულს აძლევს მიმწოდებლებს გააფართოვონ წარმოება ან დაიწყონ სუბტიტუტების შექმნაზე ფიქრი

- საფასო სიგნალები მეწარმეებს აძლევს ინფორმაციას იმის შესახებ თუ რომელი პროდუქტების რაოდენობის ზრდა სურთ მომხმარებელებს და რომლის შემცირება

- სწორედ ფულადი ფასების მეშვეობით ხდება შესაძლებელი კოორდინაცია, განსხვავებული ადამიანების კოოპერირება

საბაზრო მექანიზმი

- მიწოდების და მოთხოვნის ცნებებით აზროვნება მნიშვნელოვანია

- გაცვლაზე მოქმედი ფაქტორები ორ კატეგორიად იყოფა – მოთხოვნაზე მოქმედი ფაქტორები და მიწოდებაზე მოქმედი ფაქტორები

- განვიხილოთ მაგალითი და ვეცადოთ საბაზრო მექანიზმის ახსნას ეტაპობრივად

- რუსეთსა და უკრაინაში ხორბლის მოსავლიანობა მნიშვნელოვნად დაეცა. რა დაემართება ხორბლის ფასს და მოსავლის რაოდენობას აშშ–ში?

- დავუშვათ, რომ აშშ–ში ამერიკული ხორბლის კარგი სუბსტიტუტია რუსული და უკრაინული ხორბალი (სრულიად რეალისტური დაშვებაა)

საბაზრო მექანიზმი

- რა მოუვა მოთხოვნის მრუდს?



საბაზრო მექანიზმი

- რა მოუვა მიწოდების მრუდს?
- აქ პასუხი ცოტა რთულია, ერთმანეთისგან უნდა გავარჩიოთ მოკლევადიანი და გრძელვადიანი ეფექტები
- როგორ ფიქრობთ, მიწოდების რომელი მრუდი იქნება უფრო ელასტიური – მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი?
- განვიხილოთ მოკლევადიანი ეფექტი



საბაზრო მექანიზმი

- რა იქნება მიწოდების გრძელვადიანი ეფექტი
- გრძელვადიანი მიწოდების მრუდი უფრო ელასტიურია ვიდრე მოკლევადიანი მიწოდების მრუდი



საბაზრო მექანიზმი

- მთლიანი სურათი ცვლილებებისა



საბაზრო მექანიზმი

- ახლა ვეცადოთ გავაანალიზოთ აღნიშნული ცვლილებების შედეგი სოიოს ფასზე

- ხორბლის ფასის ზრდის შემთხვევაში, თუ მისი ჩანაცვლება მოხდა სოიოთი მომხმარებლების მხრიდან, მოთხოვნა სოიოზე გაიზრდება

- ექნება ამ ცვლილებას ზეგავლენა სოიოს წარმოებაზე?

- ალტერნატიული ხარჯის ცნება



იშვიათობიდან კონკურენციისკენ

- რესურსები შეზღუდულია
- იშვიათობა – კავშირი სასურველს და არსებულს შორის
- იშვიათობა განაპირობებს ნორმირების აუცილებლობას
- კონკურენცია არის იშვიათობის შედეგი, რესურსების ეფექტიანი გადანაწილების მექანიზმი
- საბაზრო მექანიზმი, კონკურენციაზე დაყრდნობით, ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს იშვიათი რესურსების გადანაწილებას, თუმცა არ არის აბსოლუტურად ოპტიმალური მექანიზმი

ბაზრის წონასწორობა



ფასების დაფიქსირების მცდელობა

- მომხმარებლები დაინტერესებული არიან ფასების შემცირებაში
- მიმწოდებლებისთვის მაღალი ფასები მეტი მოგებაა
- ხშირად, ფასების ფიქსირება პოლიტიკური თვალსაზრისით

მომგებიანია, მაგრამ რა შედეგებამდე მივყავართ ფასების ფიქსირებას?

- დეფიციტი გარდაუვალია ფასების დაფიქსირების შემთხვევაში



ფასის ჭერით ბაზრის შეზღუდვის დანახარჯები



სიჭარბე

- ხშირად საუბრობენ სიჭარბეზე
- სიჭარბის პრობლემის მოგვარება შესაძლებელია საბაზრო მექანიზმის გამოყენებით
- მაგალითად, როგორ შეიძლება მოგვარდეს ჭარბი მასწავლებლების პრობლემა?



ნორმირების ალტერნატიული მექანიზმები

- ფალადი ფასის მექანიზმი არ არის იდეალური
- ამ სისტემის მუშაობისას, იშვიათი პროდუქტები მიემართება მათკენ, ვინც მზადაა გადაიხადოს. შესაბამისად, როცა განაწილებას ფასები მართავს ღარიბები შედარებით ნაკლებს მიიღებენ ვიდრე მდიდრები

- იშვიათი რესურსების ნორმირების სხვა მეთოდები:
  - დამსახურების მიხედვით
  - ლატარეა
  - თანაბარი წილი ყველას
  - სიძლიერის მიხედვით
  - “ვინც პირველია, ის არის მომსახურებული”

- ნორმირების ყველა ალტერნატიული მეთოდი ბევრად უფრო არა–ეფექტიანი

ნავთობის ფასის ფლუქტუაციის მიზეზები

- ნავთობის ფასი ხშირად იცვლება. შეგვიძლია თუ არა ავხსნათ ფასების ცვლილების რთული მექანიზმი მარტივი მოთხოვნის და მიწოდების ცნებებით?



საშინაო დავალება

სალიდები შეგიძლიათ ჩამოწეროთ შემდეგი ვებ–გვერდიდან:

www.lashachochua.yolasite.com

საშინაო დავალება:

თავი 5

ამოცანები: 1; 9; 10; 12; 21; 22; 23;

ამოცანებისთვის გამოიყენეთ მეორე ქართული გამოცემა, 2009 წლის გამოშვება